ხელშეკრულება № 189
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. **გორი** 15.12.2016წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობი კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გულნარა ბზიშვილის** სახით (**ს/კ: 417883044**) და მეორეს მხრივ **შ.პ.ს 2+1-ს დირექტორი კონსტანტინე ბერიძეს** სახით (**შემდგომში – მიმწოდებელი**) (ს/კ 418465529) ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. **ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრის 2016 წლის** ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის **სახსრებით,** დვდ დისკების, საახალწლო ტრაფარეტის, ქაღალდის ტრაფარეტი, ნაძვის ხის აქსესუარების, საახალწლო ფიფქების, საახალწლო აქსესუარების და ბუშტების შესყიდვა , ფასით: 174.8 ლარი (ას სამოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი). **წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.**

2.შესყიდვის ობიექტი

2.1 **შესყიდვის ობიექტია:** CPV- 30233151 **დვდ** დისკები, CPV-22459100 **სარეკლამო** მისაკრავი ეტიკეტები, **სტიკერები** და ზოლები, CPV-39295500 **მოსართავები** და **აქსესუარები,** CPV-37525000 **სათამაშო** ბუშტები **და** ბურთები.

3.ხელშეკრულების რაოდენობა და საერთო ღირებულება: საქონლის **რაოდენობა: დვდ** დისკი 50 (ორმოცდაათი) ცალი, ერთეულის ფასი: 0.6 ლარი, საახალწლო ტრაფარეტი 30.00 ცალი, ერთეულის ფასი: 0.8 ლარი, ტრაფარეტი ქაღალდის, 1 (ერთი) ცალი, ერთეულის ფასი: 2.0 ლარი, ნაძვის ხის **აქსესუარი** 1 (ერთი) ცალი, ერთეულის ფასი: 1.5 ლარი, საახალწლო **აქსესუარი,** 1 (ერთი) ცალი, ერთეულის ფასი: 1.2 ლარი, ფიფქი, 14 (თოთხმეტი) ცალი, ერთეულის ფასი: 0.9 ლარი, ფიფქი, 9 (ცხრა) ცალი, ერთეულის ფასი: 0.7 ლარი, საახალწლო **აქსესუარი,** 24 (ოცდაოთხი) ცალი, ერთეულის ფასი: 2.8 ლარი, ბუშტები, 150 (ას ორმოცდაათი) ცალი, ერთეულის ფასი: 0.20 ლარი, **საქონლის ჯამური ღირებულება** :174.8 ლარი (ას სამოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი).

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 შესყიდვის ობიექტის **სართო ღირებულება** შეადგენს: 174.8 ლარი (ას სამოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმ თეთრი).საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯ გადასახადის გათვალისწინებით.

4.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი **იძლევა გარანტიას,** რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **10 სამუ დღის ვადაში.**

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: **გორი, მშვიდობის №12ა .**

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხ დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების **ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.**

7.3.**ანგარიშსწორება განხორციელდება** მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუმეტეს **10 სამუშაო დღის ვადაში.**

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს **კონტროლი** და ზედამხედველობა მიმწოდებლის მ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი

ვალდებულებები.
მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს: მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება **პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02 % ის ოდენობით.**
9.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს მოეთხოვება მიყენებული ზიანის პროპორციული ოდენობის ფარგლებში ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ისა.**

10.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **არაუმეტეს 10 დღე.**

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ურთიერთშორის მოლაპარაკებისას ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. **საქონლის მიღება-ჩაბარებას, ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ცენტრის დირექტორი-გულნარა ბზიშვილი.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. **სხვა პირობები**
15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **ორ** ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ – **გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი;**	შ.პ.ს "2+1"
ს/კ 417883044	ს/კ 418465529
მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა	მის: ქ.გორი წერეთლის ქ. №25
საბანკო რეკვ.: ს.ს. „სახელმწიფო ხაზინა"	ბანკის დასახელება: „თიბისი ბანკი „
	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ. 749193459	ა/ნ. GE10TB7923036020100004
დირექტორი: გ.გზიშვილი	მომწოდებელი: კ.ბერიძე